



ეკონომიკა

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 25 ოქტომბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 10.0%-ზე დატოვა. სებ-ის მიხედვით, საქართველოში ინფლაცია მიზნობრივზე დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება - სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.7%, ხოლო საბაზო ინფლაციამ 2.5% შეადგინა - რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა საგარეო ფაქტორებიდან მომდინარე წნეხის შესუსტებასა და გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას ჰქონდა. სებ-ის მიმდინარე პროგნოზით, 2023 წლის შემდგომ თვეებში ინფლაცია მიზნობრივ 3.0%-ის ქვემოთ იქნება, ხოლო 2024 წელს მის ირგვლივ დასტაბილურდება. ამასთან, სებ-ი ინფლაციის პროგნოზის კუთხით დამატებით გაურკვეველობას ხედავს მწვავე გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და რეფინანსირების განაკვეთის შემცირებას ნელი ტემპით გააგრძელებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ განვაახლეთ რეფინანსირების განაკვეთის პროგნოზი და 2023 წლის დეკემბერში ველოდებით 9.75%-ის დონეზე, ხოლო 2024 წლის ბოლოსთვის 8.75%-მდე შემცირებას, რაც 25 საბაზისო პუნქტით მეტია ჩვენს წინა პროგნოზზე. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2023 წლის 20 დეკემბერს ჩატარდება.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 13.7%-ით გაიზარდა 2023 წლის სექტემბერში, წინა თვის 11.1%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 49.2 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სექტემბერში სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ 14.9% შეადგინა (+14.6% აგვისტოში). სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდა 16.9%-მდე დაჩქარდა (+16.0% აგვისტოში), ხოლო საცალო დაკრედიტება წლიურად 13.3%-ით გაიზარდა (+13.5% აგვისტოში); ამასთან, იპოთეკური სესხების პორტფელი წლიურად 10.0%-ით გაიზარდა (+9.9% აგვისტოში). 2023 წლის სექტემბერში სესხების დოლარიზაციამ 45.0% შეადგინა (-0.40პპ წ/წ და +0.06პპ თ/თ). 2023 წლის სექტემბერში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 19.6%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) 49.3 მლრდ ლარამდე. ვალუტების მიხედვით, სექტემბერში ლარის დეპოზიტები წლიურად 35.8%-ით (+38.0% აგვისტოში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტები წლიურად 7.6%-ით გაიზარდა (+7.2% აგვისტოში). შედეგად, სექტემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 50.2% შეადგინა (-6.81პპ წ/წ და +0.45პპ თ/თ).

ტურიზმი: 2023 წლის მე-3 კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორები (ჯამურად ტურისტული და ერთდღიანი ვიზიტები) საქართველოში წლიურად 21.0%-ით გაიზარდა და 2.3 მლნ მოგზაური შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად ტურისტული ვიზიტების 15.4%-იანმა ზრდამ განაპირობა (1.73 მლნ ტურისტი, 75.0% მთლიან ვიზიტებში), რასაც მოჰყვება ერთდღიანი ვიზიტები (+41.6% წ/წ). ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა რუსეთიდან (24.9% წილი ჯამურ ვიზიტებში), თურქეთიდან (21.7% წილი) და სომხეთიდან (14.7% წილი). ვიზიტორთა უმრავლესობა საქართველოში შემოვიდა საავტომობილო ტრანსპორტით (69.2%-იანი წილი), რასაც მოსდევს საჰაერო გზით შემოსვლა (29.8%-იანი წილი). ჯამურად, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველომ 4.8 მლნ მოგზაურს უმასპინძლა, საიდანაც ტურისტული ვიზიტები იყო 3.7 მლნ (2019 წლის იანვარ-სექტემბრის 91.6%), ხოლო ერთდღიანმა ვიზიტებმა 1.2 მლნ შეადგინა, რაც 2019 წლის იანვარ-სექტემბრის 58.9%-ია (დაბალი აღდგენა იხსნება აზერბაიჯანის მიერ საზღვრის კვეთის შეზღუდვებით).


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები


	2022	2023F
რეალური მშპ-ს ზრდა	10.1%	6.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	20,243	22,109
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	6,672	8,074
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	9.8%	0.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.9	5.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.6%	4.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.1%	2.8%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.8%	38.4%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



ტურისტული ვიზიტები, მლნ ადამიანი



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 24 ოქტომბერს 5-წლიანი 60 მლნ ლარის (22.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0653პ-ით გაიზარდა და 8.329% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 7 ნოემბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	200	40	390
1-წელი	200	40	
2-წელი	427	80	
5-წელი	938	120	7,311
10-წელი	685	140	
სულ	2,450	420	7,701


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციების გლობალური ბაზრები

გასულ კვირას:

- შემოსავლიანობის მაჩვენებლები გლობალურ ობლიგაციებზე მცირედით შემცირდა მას შემდეგ, რაც აშშ-ს 10 წლიანი სახაზინოს შემოსავლიანობამ თითქმის 5%-ს მიაღწია შუა კვირაში.
- ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ძირითადი საპროცენტო განაკვეთი მოლოდინების შესაბამისად უცვლელად 4.5%-ზე დატოვა.
- ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ არსებული განაკვეთები საკმარისი უნდა იყოს ინფლაციის მოსათოკად და განაკვეთის შემოდგომი ზრდა აღარ არის მოსალოდნელი.


სახელმწიფო ობლიგაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	4Q23F	1Q24F	2Q24F
US 2y Treasury	5.01	4.96	4.64	4.28
US 5y Treasury	4.77	4.55	4.31	4.06
US 10y Treasury	4.85	4.52	4.30	4.10
US 30y Treasury	5.03	4.70	4.52	4.34
German 2y Bund	3.10	2.92	2.74	2.51
German 10y Bund	2.84	2.64	2.51	2.40

საპროცენტო განაკვეთი, %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2023
SOFR	5.31	5.30	5.31	4.30
EURIBOR (3-თვიანი)	3.95	3.96	3.95	2.13


კორპორაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2023
US Inv. Grade	6.29	6.35	6.08	5.48
Eurozone Inv. Grade	4.49	4.57	4.49	4.04
EM Inv. Grade	6.34	6.36	6.07	5.46
US High Yield	9.53	9.55	8.98	8.99
EM High Yield	11.89	12.04	11.39	11.09

წყარო: Bloomberg
შენიშვნა: სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის პროგნოზებისთვის აღებულია მდღიური პროგნოზები ტოპ-საინვესტიციო ბანკებისაგან.


FED-ის განაკვეთი (ზედა ზღვარი)




ECB-ის ძირითადი განაკვეთი



აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: FED, ECB, Bloomberg, Galt & Taggart



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Mood y/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	89.14	7.65	287.05
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Apr-21	Jun-28	BB-/BB-/-	85.47	7.80	325.08
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/-/-	99.21	12.89	688.92
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	98.32	8.98	430.49
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/Ba2	99.21	7.03	155.51
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/-/-	97.41	13.45	843.54

გალტ & თავარიტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/S cope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	
USD									
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a	
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-/BB+	99.73	6.75	
IG Development	USD	15	6.75%	Jan-22	Jan-24	-/-/-	99.88	7.13	
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-22	Apr-25	-/-/-	100	9	
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-22	Jun-25	-/-/-	n/a	n/a	
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.81	8.75	
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.99	8.5	
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	100	7	
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-/BB+	100	8.5	
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	100	9	
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-/BB-	100	8.5	
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/-	101.2	8.19	
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.21	8.63	
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a	
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a	
EUR									
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	25-Apr	-/-/-/BB-	100	7	
GEL									
Geo. Beer Company	GEL	25	Ref rate + 4.00%	Dec-18	Dec-23	-/-/-/BB-	n/a	n/a	
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-/BB	n/a	n/a	
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-/BB-	n/a	n/a	
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-/B	n/a	n/a	
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/-/-	n/a	n/a	
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-/BB+	n/a	n/a	
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/B1	n/a	n/a	
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/B1	n/a	n/a	
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	

გალტ & თავარიტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თავარიტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტი & ტაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტი & ტაგარტი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 31.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.15% წინა კვირასთან შედარებით და -10.78% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 206 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 31.50 - 33.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 54 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 26.20 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.06% წინა კვირასთან შედარებით და -12.23% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 184 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 25.45 - 27.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 35 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 8.82 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.22% წინა კვირასთან შედარებით და -11.98% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 67 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.74 - 9.30 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 33 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	31.85	1,461	4.9%	48.5%	22.3%	2.74x	3.60x	3.75x	0.90x	0.94x	0.79x
TBC	TBC	GBP	26.20	1,451	10.8%	37.5%	15.4%	4.10x	4.49x	3.95x	1.04x	1.03x	0.88x
Halyk Bank	HSBK	USD	12.78	3,485	-1.7%	24.6%	15.1%	2.69x	2.58x	2.32x	0.78x	0.72x	0.61x
Akbank	AKBNK	TRY	30.92	160,784	81.9%	103.0%	58.2%	1.40x	2.24x	2.62x	0.55x	0.78x	0.67x
Garanti	GARAN	TRY	49.12	206,304	75.4%	105.4%	63.5%	1.91x	3.61x	3.16x	0.73x	1.10x	0.91x
Isbank	ISCTR	TRY	22.30	222,999	97.3%	137.7%	74.6%	0.84x	3.73x	3.12x	0.60x	0.98x	0.76x
PKO	PKO	PLN	42.02	52,525	29.1%	66.0%	38.7%	10.98x	9.90x	7.91x	1.03x	1.20x	1.12x
PEKAO	PEO	PLN	125.65	32,979	27.2%	65.1%	45.3%	na	6.39x	7.19x	na	1.19x	1.10x
Millennium	MIL	PLN	7.32	8,880	45.0%	74.3%	59.8%	na	3.01x	3.88x	1.04x	1.29x	1.19x
Mbank	MBK	PLN	505.20	21,453	42.5%	97.7%	70.7%	na	6.01x	6.63x	1.10x	1.37x	1.21x
BRD	BRD	RON	16.20	11,290	28.6%	42.4%	24.6%	6.81x	7.62x	8.79x	1.31x	1.44x	1.44x
Banca Transilvania	TLV	RON	21.90	17,491	28.8%	41.1%	24.1%	na	6.75x	6.95x	1.60x	1.42x	1.29x
Komercni	KOMB	CZK	670.00	127,333	-10.5%	-5.4%	2.3%	8.36x	8.14x	8.65x	1.21x	1.01x	0.98x
Mean								4.42x	5.24x	5.30x	0.99x	1.11x	1.00x
Median								2.74x	4.49x	3.95x	1.04x	1.10x	0.98x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის უზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მფლობელი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ იქნება სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულ იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდება რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
 საბროკერო: sales@gt.ge
 კვლევები: research@gt.ge